განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წლიური ანგარიში

იანვარი-დეკემბერი, 2019 წელი

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წლიურ ანგარიშში წარმოდგენილია 2019 წლის მუშაობის შედეგები ცენტრის 2016-2020 წლების სტრატეგიულ მიზნებსა და სამოქმედო გეგმასთან მიმართებით.

ანგარიშში გამოყენებული აბრევიატურების განმარტებები:

BICG ბოლონიის იმპლემენტაციის კოორდინაციის ჯგუფი;

ESG 2015 უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნვლყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები;

ENQA უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაცია;

EQAR უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების დამოუკიდებელი სააგენტოების ევროპული რეესტრი;

EUA ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაცია;

Twinning საჯარო სამსახურების დაძმობილების პროექტი „ხარისხის უზრუნველყოფისა და კვალიფიკაციების მართვის შესაძლებლობების გაძლიერება“;

WFME სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაცია;

შინაარსი

ხედვა, მისია და ღირებულებები 4
განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2016-2020 წლების სტარტეგიული მიზნები 5
სტრატეგიული მიზანი 1: სახელმწიფო პოლიტიკის, მთავრობის პრიორიტეტებისა და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, ცენტრის ორგანიზაციული მართვის სისტემებისა და რესურსების განვითარება, მისი ინსტიტუციური დამოუკიდებლობის განმტკიცება 6
სტრატეგიული მიზანი 2: საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის შედეგზე ორიენტირებული სისტემის განვითარება და ცენტრის შესაბამისი სერვისების სრულყოფა 11
უმაღლესი განათლება 11
პროფესიული განათლება 15
ზოგადი განათლება 18
სტრატეგიული მიზანი 3: საგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდაჭერის სერვისებით განვითარება 19
სტრატეგიული მიზანი 4: მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის პრინციპებზე დაფუძნებული კვალიფიკაციების სისტემის განვითარების უზრუნველყოფა, არსებული საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით განათლების აღიარების სერვისების ოპტიმიზაცია და სრულყოფა 20
სტრატეგიული მიზანი 5: საქართველოს ცნობადობის ამაღლება ევროპის განათლების სივრცეში და განათლების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა 25

ხედვა, მისია და ღირებულებები

ხედვა

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ხედვაა საქართველოში მიღებული განათლების ხარისხი სრულად პასუხობდეს ეროვნულ და საერთაშორისო მოთხოვნებს, ხოლო ქვეყანაში განათლების ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარების სფეროში ცენტრი იყოს წამყვანი ინსტიტუცია, რომელსაც აქვს მაღალი ნდობა და აღიარება როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.

მისია

განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის მისიაა საქართველოში განათლების ხარისხის განვითარების მხარდაჭერა, საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხარისხზე ორიენტირებული კულტურისა და მართვის პრაქტიკის გაძლიერების ხელშეწყობა, მომხმარებელზე ორიენტირებული მომსახურების გაწევა და ქვეყნის განათლების სისტემის მიმართ ნდობის უზრუნველყოფა.

ღირებულებები

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, უპირველეს ყოვლისა, ხელმძღვანელობს სწავლის პროცესში ჩართული პირების საუკეთესო ინტერესებით და საქმიანობას წარმართავს მიუკერძოებლობის, გამჭვირვალობის, დაინტერესებულ პირებთან თანამშრომლობისა და უწყვეტი განვითარების პრინციპებზე დაყრდნობით. შესაბამისად, ცენტრის უმთავრესი ღირებულებებია:

თანამშრომლობა

დაინტერესებულ პირებთან მჭიდრო თანამშრომლობა და მათი ჩართულობის უზრუნველყოფა.

დამოუკიდებლობა

სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში ფუნქციონირების მიუხედავად, ცენტრის დამოუკიდებლობა საქმიანობის განხორციელებასა და გადაწყვეტილებების მიღებაში, ობიექტურობის, მიუკერძოებლობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვა.

განვითარება

საკუთარი საქმიანობის მუდმივი შეფასება და გაუმჯობესება.

პროფესიონალიზმი

თანამშრომელთა კვალიფიციურობა, ეფექტიანობა და ანგარიშვალდებულება; მომხმარებელთა მიმართ პატივისცემა და მათზე ორიენტირებულობა.

საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა

საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის გაცნობიერება და სამოქალაქო აქტივობებში ჩართულობა.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2016-2020 წლების სტრატეგიული მიზნები

სტრატეგიული მიზანი 1: სახელმწიფო პოლიტიკის, მთავრობის პრიორიტეტებისა და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, ცენტრის ორგანიზაციული მართვის სისტემებისა და რესურსების განვითარება და მისი ინსტიტუციური დამოუკიდებლობის განმტკიცება;

სტრატეგიული მიზანი 2: საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის შედეგზე ორიენტირებული სისტემის განვითარება და ცენტრის შესაბამისი სერვისების სრულყოფა;

სტრატეგიული მიზანი 3: საგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდაჭერის სერვისების განვითარება;

სტრატეგიული მიზანი 4: მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის პრინციპებზე დაფუძნებული კვალიფიკაციების სისტემის განვითარების უზრუნველყოფა, არსებული საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, განათლების აღიარების სერვისების ოპტიმიზაცია და სრულყოფა;

სტრატეგიული მიზანი 5: საქართველოს ცნობადობის ამაღლება ევროპის განათლების სივრცეში და განათლების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა

სტრატეგიული მიზანი 1: სახელმწიფო პოლიტიკის, მთავრობის პრიორიტეტებისა და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, ცენტრის ორგანიზაციული მართვის სისტემებისა და რესურსების განვითარება, მისი ინსტიტუციური დამოუკიდებლობის განმტკიცება

- *ცენტრში არსებული სერვისების განვითარება და მათი ეფექტიანობის ზრდა*

2019 წელს მონაცემთა გაცვლის სააგენტოსთან ერთად შეიქმნა და სატესტო რეჟიმში ამუშავდა მოქალაქეთა ელექტრონული ფორმები. კერძოდ, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების, ლიცენზირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული უმაღლესი განათლების სახელმწიფო აღიარების, საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და განათლების მიღების ფაქტის დადასტურების განაცხადის ფორმები. ტესტირების წარმატებით დასრულებისთანავე, აღნიშნული სერვისები მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომი გახდება, რაც მათ მისცემს საშუალებას, რომ სახლიდან გაუსვლელად ისარგებლონ ცენტრის აღნიშნული სერვისებით.

საანგარიშო პერიოდში, ცენტრში საქმისწარმოების პროცესის გაუმჯობესების მიზნით, დამუშავდა 2014- 2015 წლების საარქივო დოკუმენტაცია.

- *ცენტრის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის დახვეწა*

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმიანობის შედეგების მართვის, მონიტორინგისა და გავრცელების მოდელის გაუმჯობესების ხელშეწყობას ისახავს მიზნად ევროკავშირის მიერ დაფინანსებული საჯარო სამსახურების დაძმობილების პროექტი (Twinning) „ხარისხის უზრუნველყოფისა და კვალიფიკაციების მართვის შესაძლებლობების გაძლიერება“. პროექტის მესამე კომპონენტი ითვალისწინებს ცენტრის ორგანიზაციული მოწყობისა და შესაძლებლობების გადახედვას 2020 წლის სტრატეგიული ამოცანებისა და ეროვნული კვალიფიკაციების განახლებული ჩარჩოს გათვალისწინებით, ეროვნული კვალიფიკაციების ახალი ჩარჩოსა და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მონიტორინგის წესების გადახედვას და ასევე, ცენტრში არსებული პრაქტიკის გაძლიერებას კომუნიკაციისა და ცნობიერების ხარისხის ამაღლებასთან მიმართებით. ესტონელი და გერმანელი საერთაშორისო ექსპერტების მიერ გადაიხედა ცენტრის 2016-2020 წლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის არსებული მექანიზმები.

სტრუქტურული ერთეულების ჩართულობით შემუშავდა სტრატეგიული დაგეგმვის და მონიტორინგის პროცესის აღწერა, რომლის გათვალისწინება მოხდება ცენტრის 2021-2026 წლების სტრატეგიის შემუშავების დროს.

2019 წლის განმავლობაში რისკების მართვის ხარისხისა და დანერგილი კონტროლის მექანიზმების გაძლიერების მიმართულებით შიდა აუდიტის სამსახურის მიერ, წინასწარ დამტკიცებული შიდა აუდიტის წლიური გეგმის შესაბამისად, განხორციელდა აუდიტორული შემოწმებები. გეგმით გათვალისწინებული იყო 4 აუდიტორული შემოწმების განხორციელება, რომელთაგან 1 იყო სისტემური, 1 - შესაბამისობის, 1 - ფინანსური და შესაბამისობის და 1 - ეფექტიანობის აუდიტები. გარდა ზემოაღნიშნულისა, წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო "ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის აუდიტორული შემოწმების განხორციელება. ცენტრის შიდა აუდიტის სამსახურმა სრულად შეასრულა 2019 წლის წლიური გეგმა.

აღსანიშნავია, რომ 2019 წელს ცენტრის შიდა აუდიტის სამსახურმა საერთაშორისო ექსპერტის ჩართულობით განახორციელა ახალი სახის აუდიტორული შემოწმება - ეფექტიანობის აუდიტი, რომლის ფარგლებშიც გაცემული რეკომენდაციების შესრულება ცენტრს ხელს შეუწყობს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის (ENQA) მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებაში.

გარდა ზემოაღნიშნულისა, შიდა აუდიტის სამსახურმა განახორციელა ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2018 წლის შესაბამისობის აუდიტის, 2017 წელს ჩატარებული ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემური აუდიტის, ასევე, ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის შესაბამისობის აუდიტების ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების მონიტორინგი.

ჩატარებული მონიტორინგის ფარგლებში შეფასდა თითოეული რეკომენდაციის შესრულების სტატუსი და შემუშავდა რეკომენდაციების შესრულების განახლებული სამოქმედო გეგმები. შიდა აუდიტის სამსახურის მიერ მუდმივად ხორციელდება ცენტრის სტრუქტურული ერთეულებისგან რეკომენდაციების შესრულების შესახებ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზი. ცენტრის თანამშრომლების მიერ ეტაპობრივად ხორციელდება გაცემული რეკომენდაციების შესრულება.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საანგარიშო პერიოდში შიდა აუდიტის ობიექტებში დაინერგა დამატებითი კონტროლის მექანიზმები და გაუმჯობესდა ცენტრში მიმდინარე პროცესები. კერძოდ:

- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაწყებულია მუშაობა ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასების პროცესის გაუმჯობესებასა და შესაბამისი შეფასებების ანალიზზე. შედეგად, გაუმჯობესდება ექსპერტთა კორპუსის მართვა და ავტორიზაციის პროცესის ეფექტიანობა;

- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავდა სამსახურის მიერ განხორციელებული ადმინისტრაციული წარმოებებისთვის ექსპერტთა ვიზიტების ბრძანებების სანიმუშო პროექტები. შედეგად, შემცირდება ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტების მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით შედგენის რისკი;

- უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაწყებულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მონიტორინგის პროცესის თანმიმდევრული მიდგომის ჩამოყალიბება, მონიტორინგის წლიური გეგმის შემუშავების კრიტერიუმების შედგენა, მონიტორინგის პროცესის გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება. გარდა ზემოაღნიშნულისა, აუდიტის სამსახურის შესაბამისი რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის მიხედვით, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა დაიწყო ავტორიზაცია/აკრედიტაციის პროცესის ოპტიმიზაციასა და გაუმჯობესებაზე მუშაობა;

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სისტემური აუდიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის პროცესში გამოვლენილი მიგნებებისა და გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით, სამსახურმა დაიწყო ავტორიზაციის პროცესში არსებული ხარვეზების აღმოფხვრაზე, პროცესების ოპტიმიზაციასა და გაუმჯობესებაზე მუშაობა.

2019 წლის განმავლობაში, საჩივრებისა და დისციპლინური გადაცდომების შესწავლისა და პრევენციის მიზნით, ცენტრის შიდა აუდიტის სამსახურმა განახორციელა ადმინისტრაციული წარმოება და შიდა სამსახურეობრივი წარმოებები. აღნიშნული წარმოებების ფარგლებში მომზადდა შესაბამისი დასკვნები და გაიცა რეკომენდაციები. შედეგად, დასკვნებში ასახული გარემოებების ფარგლებში გაცემული რეკომენდაციებით დაინერგა დამატებითი კონტროლის მექანიზმები.

- *ცენტრის თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა*

ცენტრის თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით ცენტრის სტრუქტურულ ერთეულად განისაზღვრა ხარისხის სკოლა (სამსახური), რომლის ძირითად ფუნქციად განისაზღვრა საგანმანათლებლო დაწესებულებების, ექსპერტთა კორპუსის

წევრების, საბჭოს წევრების და სხვა დაინტერესებული პირებისათვის განათლების ხარისხის განვითარებაზე ორიენტირებული ღონისძიებების (ტრენინგები, კონსულტაციები და სხვა) დაგეგმვა და ორგანიზება.

2019 წელს დაიწყო მუშაობა თანამშრომელთა შეფასების სისტემის დანერგვაზე. მომზადდა თანამშრომელთა მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების წესის პროექტი, რომელშიც განსაზღვრული იყო შეფასების მეთოდოლოგია. გავლილი იქნა კონსულტაციები საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის სამმართველოსთან. 2020 წლის სამოქმედო გეგმის მიხედვით, დაგეგმილია შეფასების სისტემის დანერგვა. თანამშრომელთა პროფესიული განვითარების გეგმის შემუშავების მიზნით, ცენტრის ცალკეული სტრუქტურულმა ერთეულებმა განსაზღვრეს ტრენინგების საჭიროებები. შეხვედრებზე შემუშავდა წინადადებები თანამშრომელთა მოტივაციის სისტემასთან დაკავშირებით. აღნიშნულ საკითხებზე მუშაობა გაგრძელდება 2020 წლიდან.

- *ცენტრის საკომუნიკაციო შესაძლებლობების გაძლიერება*

ცენტრის შიდა და გარე კომუნიკაციის დახვეწისთვის და ინფორმაციულობის გაზრდის მიზნით, 2019 წელს შემუშავდა მომხმარებელზე მეტად ორიენტირებული ვებგვერდის ახალი კონცეფცია. საანგარიშო პერიოდში ყველა სტრუქტურული ერთეულის უშუალო ჩართულობით განახლდა ცენტრის ვებგვერდის შინაარსობრივი ნაწილი ქართულ და ინგლისურ ენაზე. აღსანიშნია, რომ ცენტრის ვებგვერდის/ფეისბუქგვერდის საშუალებით, შესაბამისი ფოტომასალით გავრცელდა 190-მდე სიახლე. მიუხედავად განახლებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ზრდისა, ტექნიკური მიზეზების გამო ვერ იქნა გათვალისწინებული შშმ პირებისთვის ადაპტირებული და ინტერაქტიული ვებგვერდის შექმნის კონცეფცია.

2019 წლის სტატისტიკური მონაცემებით, რომლებიც ეყრდნობა განათლების საინფორმაციო სისტემის სპეციალურ ელექტრონულ პროგრამას, მთელი წლის განმავლობაში ცენტრში შემოვიდა დაახლოებით 25 000 ზარი. ასევე, წლის განმავლობაში პერიოდულად მიმდინარეობდა შემოსული ზარების აუდიოჩანაწერების მონიტორინგი, რომელმაც აჩვენა, რომ ცხელი ხაზის ოპერატორების მხრიდან სამუშაოს შესრულებისას მნიშვნელოვანი ხარვეზები არ გამოვლენილა.

ცენტრში საკომუნიკაციო შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, Twinning-ის პროგრამის ფარგლებში, უცხოელ ექსპერტებთან ერთად განხილულ იქნა 2019 წელს შემუშავებული სტრატეგიული კომუნიკაციის დოკუმენტის სამუშაო ვერსია. მათი რეკომენდაციების გათვალისწინებით, 2020 წელს დამტკიცდება დოკუმენტის საბოლოო ვერსია.

2019 წელს, Twinning-ის პროექტის ფარგლებში, უცხოელ ექსპერტებთან ერთად განხილულ იქნა ცენტრის 2020 წლის მარკეტინგული გეგმა. მათი რეკომენდაციების გათვალისწინებით, 2020 წლიდან შესაბამისი დოკუმენტი დამტკიცდება და ეტაპობრივად განხორციელდება შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების უშუალო ჩართულობით.

ცენტრმა უზრუნველყო ტექნიკური და საოფისე ინფრასტრუქტურის სრულყოფა. კერძოდ, განხორციელდა საოფისე ტექნიკისა და საოფისე აღჭურვილობების საჭიროებების შესწავლა/ ანალიზი, რაც აისახა ცენტრის სახელმწიფო შესყიდვის წლიურ გეგმაში. არსებული გეგმის მიხედვით, შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურმა განახორციელა სხვადასხვა საოფისე ტექნიკისა და ინვენტარის სახელმწიფო შესყიდვა (საოფისე ავეჯი, პერსონალური კომპიუტერები, ეკონომიური სანათები, მცირე კოსმეტიკური სამუშაოები). შედეგად:

- ნაწილობრივ განახლდა და შეიცვალა ცენტრში არსებული მოძველებული და მწყობრიდან გამოსული საოფისე ავეჯი;
- მოძველებული კომპიუტერული ტექნიკა ჩანაცვლდა ახლით და ზოგიერთ კომპიუტერულ მოწყობილობას გაუძლიერდა ტექნიკური მონაცემები (შეიცვალა ოპერატიული მეხსიერებები);
- ცენტრი აღიჭურვა თანამედროვე ლედ ნათების ეკონომიური სანათებით, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს ელექტროენერგიის მოხმარების ხარჯს;
- ცენტრის საკონფერენციო დარბაზები (3 დამოუკიდებელი სივრცე) მოეწყო შენობის ნულოვან სართულზე და ჩაუტარდა მცირე კოსმეტიკური სამუშაოები. ასეთივე სამუშაოები ჩატარდა ცენტრის მე-4 სართულის რამდენიმე ოთახშიც.

სტრატეგიული მიზანი 2: საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის შედეგზე ორიენტირებული სისტემის განვითარება და ცენტრის შესაბამისი სერვისების სრულყოფა

უმაღლესი განათლება

- ***ESG-სთან თავსებადი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების დანერგვა და მონიტორინგი***

2019 წლის განმავლობაში ცენტრში წარმოდგენილი იქნა 12 საავტორიზაციო განაცხადი, რომლებიც შეფასდა ESG-სთან თავსებადი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებისა და პროცედურების შესაბამისად.

ამასთან, საანგარიშო წელს განხორციელდა ოთხი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შერწყმა. აღნიშნულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს მიმდინარე ავტორიზაციის ვადა ეწურებოდა 2019 წელს. შესაბამისად, მათ აღარ შემოუტანიათ ცენტრში საავტორიზაციო განაცხადები. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 13 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების გეგმიური და არაგეგმიური შემოწმება ESG-სთან თავსებადი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებისა და პროცედურების შესაბამისად.

- ***უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებისა და პროცედურების დახვეწა და განვითარება***

2019 წელს შეფასებების შედეგად განხორციელდა ავტორიზაციის პროცესში გამოვლენილი ნაკლოვანებების იდენტიფიცირება. ეს ნაკლოვანებები წარმოდგენილი იყო ცენტრის მიერ ორგანიზებულ წლის შემაჯამებელ კონფერენციაზე.

მიმდინარე პროცესების ანალიზის საფუძველზე მომზადდა ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი, რომელიც ეხებოდა ავტორიზაციაგაუქმებულ დაწესებულებაში ჩარიცხული სტუდენტების სტატუსის შეჩერების, ავტორიზაციაზე უარის თქმის, ავტორიზაციის გაუქმების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების სამართლებრივი შედეგების გამიჯვნის საკითხებს.

აღსანიშნავია, რომ ავტორიზაციის პროცედურების ნაწილში მომზადდა პროექტი, რომელიც ითვალისწინებს რიგი ცვლილებების განხორციელებას ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში. ცვლილებების თანახმად, იმიჯნება ავტორიზაციაზე უარის თქმის და ავტორიზაციის გაუქმების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების სამართლებრივი შედეგები; კონკრეტდება და ახლებურად წესრიგდება ავტორიზაციაზე უარის თქმის ან ავტორიზაციის გაუქმების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე სტუდენტისთვის სტატუსის შეჩერების საკითხები; მონიტორინგის პროცესისთვის გათვალისწინებული ადმინისტრაციული ვადა ახლებურად დადგინდა. ასევე, გადაიხედა ავტორიზაციის საბჭოს მიერ სხდომის ოქმისა და გადაწყვეტილების ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნების ვადა.

შემუშავდა პროექტი, რომელიც ითვალისწინებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის დადგენილი ავტორიზაციის საფასურების გადახედვას. კერძოდ, ახალმა საფასურებმა მოიცვა ყველა აუცილებელი მინიმალური ხარჯი. ეს ხარჯები დაკავშირებულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის პროცესსა და იმ მომსახურებასთან, რომელსაც მომდევნო ექვსი წლის განმავლობაში მიიღებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება.

- ***ESG-სთან თავსებადი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების დანერგვა და მონიტორინგი***

2019 წლის განმავლობაში ცენტრში წარმოდგენილ იქნა 270 სააკრედიტაციო განაცხადი, რომლებიც შეფასდა ESG-სთან თავსებადი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებისა და პროცედურების შესაბამისად. ასევე, წარმოდგენილი იყო:

- 8 სააპეაციო საჩივარი, რომელთაგან საბჭომ 7 საჩივარზე განიხილა და მიიღო გადაწყვეტილება;
- აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის 98 განაცხადი, რომელთაგან საბჭომ განიხილა 48;
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ განხილულ იქნა 333 საკითხი (მათ შორის ანგარიშები და მონიტორინგები), ხოლო მიიღო 280 გადაწყვეტილება;
- განხორციელდა 10 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიური და არაგეგმიური შემოწმება.

- ***უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებისა და პროცედურების დახვეწა და განვითარება***

2019 წელს შეფასებების შედეგად განხორციელდა აკრედიტაციის პროცესში გამოვლენილი ნაკლოვანებების იდენტიფიცირება, რომლის პრეზენტაცია მოხდა ცენტრის მიერ ორგანიზებულ 2019 წლის შემაჯამებელ კონფერენციაზე. მიმდინარე პროცესების ანალიზის საფუძველზე, სამსახურის მიერ მომზადდა, ,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი, რომელიც ეხებოდა აკრედიტაცია გაუქმებული რეგულირებადი ან სადოქტორო საფეხურის პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების სტატუსის შეჩერების, ასევე, აკრედიტაციაზე უარის თქმისა და აკრედიტაციის გაუქმების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების სამართლებრივი შედეგების გამიჯვნის საკითხებს.

საანგარიშო პერიოდში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასების მიზნით, შემუშავდა და დაინერგა ანგარიშის ფორმა. აღნიშნული ფორმის საფუძველზე საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილ იქნა ანგარიშები, რომლებიც აკრედიტაციის საბჭოს განიხილა. არსებული პრაქტიკი გაანალიზების საფუძველზე შემუშავდა და დაინერგა კრედიტაციის გადაწყვეტილებისა და ოქმის განახლებული ფორმები.

საანგარიშო პერიოში შემუშავდა და მომზადდა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანილი საგანმანათლებლო პროგრამების ვადები, კონკრეტულ წლებზე დეტალური სფეროების გადანაწილებით. ასევე, შემუშავდა შესაბამისობისას საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ წარმოსადგენი თვითშეფასების ფორმები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სააკრედიტაციო პროცესთან დაკავშირებული ბიზნესს პროცესები აღწერა, რომელთა საფუძველზეც განხორციელდა საფასურების გაანგარიშება. მომზადდა აკრედიტაციის სტანდარტებსა და პროცედურებში განსახორციელებელი ცვლილებები და განხორციელდა ინიცირება.

- ***უმაღლესი განათლების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის, საერთაშორისო და ადგილობრივ ექსპერტთა კორპუსის განვითარება/სრულყოფა***

მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა უმაღლესი განათლების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის, საერთაშორისო და ადგილობრივ ექსპერტთა კორპუსის განვითარებისა და მისი სრულყოფის მიმართულებით. 2019 წელს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის წევრების განვითარების მიზნით, შემუშავდა 6 ტრენინგმოდული; ჩატარდა 50 ტრენინგი, რომლებსაც დაესწრო ავტორიზაციისა და აკრედიტაციის 350 ექსპერტი. 2020 წლის განმავლობაში გათვალისწინებულია ექსპერტთა კორპუსის წევრების ატესტაციის პროცესის დაგეგმვა და განხორციელება.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსი განახლდა როგორც შესაბამისი დარგის წარმომადგენლებით, ასევე - სტუდენტებითა და დამსაქმებლებით. საგულისხმოა, რომ საანგარიშო პერიოდში განახლდა ავტორიზაციისა და აკრედიტაციის კორპუსი შესაბამისი დარგისა და სფეროს საერთაშორისო ექსპერტებით.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა საქმიანობის სრულყოფილად შეფასების მიზნით, განახლდა და დაემატა შეფასების ფორმები. შემუშავდა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ ექსპერტთა შეფასების, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სააკრედიტაციოპროცესისა და ცენტრის საქმიანობის შეფასების ფორმები. კითხვარების დანერგვის შედეგად მიღებული მონაცემები დამუშავდა და მომზადდა თემატური ანალიზი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს მიერ მომზადდა ექსპერტთა საქმიანობის შეფასების დოკუმენტი. ზემოაღნიშნული დოკუმენტების საფუძველზე, მომავალ წელს დაიგეგმება შესაბამისი აქტივობები. იგეგმება ექსპერტთა ატესტაციის პროცესის განხორციელებაც.

- ***უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის ხარისხის უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემის დანერგვა და მონიტორინგი***

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ საავტორიზაციო განაცხადების წარმოდგენის მიზნით, სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ჩართულობით შემუშავდა ელექტრონული სისტემა. განხორციელდა აღნიშნული სისტემის ტესტირება, რომლის ფარგლებშიც მოხდა ხარვეზების იდენტიფიცირება და გამოსწორება. ამჟამად მიმდინარეობს ელექტრონული სისტემის პილოტირების პროცესი. პროცესი გაგრძელდება 2020 წელს.

- *უსდ-ებში ელექტრონული სისტემის დანერგვის ხელშეწყობა (სახელმძღვანელოს შემუშავება, ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრების ჩატარება)*

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ელექტრონული სისტემის დანერგვის ხელშეწყობის მიმართულებით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს მიერ შემუშავდა ელექტრონული სისტემის გამოყენების სახელმძღვანელო. ასევე, სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან ერთად ჩაიწერა ვიდეოინსტრუქცია. პილოტირების პროცესში ჩართულ სამ დაწესებულებას სისტემის გამოყენების თაობაზე ჩაუტარდა შესაბამისი ტრენინგები.

ელექტრონული სისტემის მეშვეობით მოხდა სამი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საპილოტე საავტორიზაციო განაცხადის მიღება. აღნიშნული სისტემის მეშვეობით განხორციელდა ავტორიზაციის პროცესის თითოეული ეტაპი. პროცესი გაგრძელდება მომდევნო წელს.

2019 წლის განმავლობაში მოხდა იმ ხარვეზების იდენტიფიცირება, რომლებიც გამოიკვეთა პილოტირების პროცესში. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან ერთად მიმდინარეობს აღნიშნული ხარვეზების გამოსწორებაზე მუშაობა.

პროფესიული განათლება

- *პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის განახლებული სტანდარტების და პროცედურების დამტკიცება/დანერგვა*

2019 წელს ცენტრმა წარადგინა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის განახლებული სტანდარტები და პროცედურები დასამტკიცებლად. მომზადებულია გზამკვლევი ახალი სტანდარტების შესახებ, რომელიც გადის ვალიდაციას ესტონელ და გერმანელ ექსპერტებთან საჯარო სამსახურების დაძმობილების (Twinning) პროექტის ფარგლებში. ჩატარებულია ტრენინგები/საინფორმაციო შეხვედრები დაწესებულებებთან ავტორიზაციის განახლებულ სტანდარტებთან დაკავშირებით. საანგარიშო პერიოდში ტრენინგებში მონაწილეობა მიიღო 64 დაწესებულების 114-მა წარმომადგენელმა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის უზრუნველყოფის ელექტონული სისტემის

(QMS), შესაბამისი ელექტრონული პორტალის შექმნისა და შემდგომი განვითარების მიზნით, მოხდა კონცეფციისა და ტექნიკური დავალების შეთანხმებას სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულთან.

საანგარიშო პერიოდში სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან თანამშრომლობით დასრულდა პროფესიული (eVet) განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტების, მოდულებისა და მატერიალური რესურსის ასახვა. ელექტრონულ სისტემაში ასახულია ყველა ოპტიმიზებული ჩარჩო დოკუმენტი შესაბამისი მოდულებითა და მატერიალური რესურსით.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს №170/ნ ბრძანებით დამტკიცდა "საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესი და პირობები". საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ინტეგრირებული პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვებასთან დაკავშირებული მოთხოვნები და პროცედურა ასახულია ავტორიზაციის ახალი სტანდარტებისა და ავტორიზაციის დებულების პროექტებში. დოკუმენტები წარდგენილია დასამტკიცებლად. ავტორიზაციის/პროგრამების დამატების პროცესი ინტეგრირებული პროგრამებისათვის განხორციელდება ავტორიზაციის ახალი სტანდატებისა და დებულების დამტკიცების შემდეგ.

- ***პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსის განვითარება/სრულყოფა***

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსის განვითარება/სრულყოფის კუთხით გადაიდგა რიგი ნაბიჯები. კერძოდ, დასრულდა შესარჩევი კონკურსი და ექსპერტთა კორპუსი შეივსო დარგობრივი კომპეტენციის მქონე 51 ექსპერტით. ასევე, ჩატარებულია რამდენიმე სამუშაო შეხვედრა ექსპერტებთან და განხორციელდა მათი საქმიანობის შეფასება/ანალიზი.

- ***პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის ფართომასშტაბიანი პილოტირება და მათი შესაძლებლობების გაძლიერება ხარისხის შიდა უზრუნველყოფაში***

21 საგანმანათლებლო დაწესებულებაში განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის

ვერიფიკაციის პილოტირება. შედეგები განზოგადდა და განხილულ იქნა დაწესებულებებთან ერთად. მოხდა შედეგების გაზიარება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან. მომზადდა და საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან განხილულ იქნა პროფესიული სტუდენტის შეფასების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო. ასევე, ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის მესამე და მეოთხე ეტაპთან დაკავშირებით პროფესიული განათლების პროგრამების ყველა პროვაიდერთან ჩატარდა ტრენინგი. დაგეგმილ ტრენინგებში მონაწილეობა მიიღო 197-მა წარმომადგენელმა.

- ***"პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის დანერგვის ხელშეწყობა***

„პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, ცენტრის მიერ შემუშავდა ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესის პროექტი. ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესის პილოტირება 18 დაწესებულებაში ჩატარდა. სამოქმედო გეგმის შესაბამისად, შემუშავდა პროფესიულ სტუდენტთა მობილობის წესის პროექტი. „პროფესიული სტუდენტის მობილობის წესი“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 სექტემბრის №198/ნ ბრძანებით დამტკიცდა.

ერთობლივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამების, ასევე, გაცვლითი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, განხორციელების წესისა და პირობების პროექტის კონცეფცია საჯარო სამსახურების დაძმობილების (Twinning) პროექტის ფარგლებში მომზადდა. 2020 წელს გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) სტანდარტული შეთანხმების წერილის ფარგლებში იგეგმება აღნიშნულ წესის შემუშავება.

- ***პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაძლებლობების გაძლიერება***

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების თვითშეფასების ანგარიშის შევსებაში

პროფესიული საგანმანთლებლო დაწესებულებების შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, ახალი სტანდარტების პროექტის მიხედვით 2019 წელს მომზადდა კონცეფცია, თვითშეფასების ახალი ფორმა, რომლის პილოტორება წარმატებით განხორციელდა 36 დაწესებულებაში. ჩატარებულია ტრენინგები თვითშეფასების განახლებული ფორმის

შევსებასთან დაკავშირებით. საერთო ჯამში, ტრენინგებში მონაწილეობა მიიღო 63 დაწესებულების 96-მა წარმომადგენელმა.

ზოგადი განათლება

- *ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის შედეგზე ორიენტირებული შეფასების კონცეფციის მომზადება და მასზე დაყრდნობით შეფასების სტანდარტების განვითარება*

საანგარიშო პერიოდში დაინტერესებული პირების ჩართულობით მომზადდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების შედეგზე ორიენტირებული შეფასების კონცეფციის პროექტი. ჩატარდა კონცეფციის პროექტის განხილვა საზოგადოების ჩართულობით და ცვლილებების შეტანა. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების შედეგზე ორიენტირებული შეფასების კონცეფციის პროექტის საბოლოო ვერსიის წარდგენა დასამტკიცებლად იგეგმება ამ საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2019 წელს განახლების პროცესში იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების შეფასების სტანდარტები.

- *ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსის ფორმირება, განვითარება და სრულყოფა*

2019 წელს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსის სრულყოფისთვის ჩატარდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა შესარჩევი კონკურსი. ასევე, სამოქმედო გეგმის შესაბამისად მოხდა სამუშაო შეხვედრების ორგანიზება ექსპერტთა კორპუსის წევრებისთვის მათ მიერ გაწეული სამუშაოს შესახებ უკუკავშირის მიწოდების მიზნით. გარდა ამისა, განახლდა დასკვნისა და თვითშეფასების ფორმები არსებული სტანდარტების შესაბამისად.

სტრატეგიული მიზანი 3. საგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდაჭერის სერვისების განვითარება

- ***უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტებსა და პროცედურებთან დაკავშირებით მხარდამჭერი ღონისძიებების უზრუნველყოფა***

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტებსა და პროცედურებთან დაკავშირებით მხარდამჭერი ღონისძიებების უზრუნველყოფის მიზნით, 2019 წელს შემუშავდა და დამტკიცდა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სახელმძღვანელო. ასევე, შემუშავდა შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო. უსდ-ებისთვის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტებსა და პროცედურებთან დაკავშირებით შემუშავდა 8 ტრენინგმოდული. საერთო ჯამში, 2019 წლის განმავლობაში უსდ-ებისთვის ავტორიზაციის სტანდარტებსა და პროცედურებთან დაკავშირებით ჩატარდა 50 ტრენინგი, რომლებსაც დაესწრო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების 300 წარმომადგენელი. აკრედიტაციის სტანდარტებსა და პროცედურებთან დაკავშირებით ჩატარდა 50 ტრენინგი, რომლებსაც დაესწრო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 300 წარმომადგენელი. საგულისხმოა, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებდა მუდმივ ადმინისტრაციულ მხარდაჭერას.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან მთელი წლის განმავლობაში ტარდებოდა საკონსულტაციო და სამუშაო შეხვედრები.

- ***პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების დაჩქარებული ადმინისტრაციული წარმოება***

საანგარიშო პერიოდში მომზადდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების დაჩქარებული ადმინისტრაციული წარმოების შესახებ კონცეფცია და ინიცირებულია ავტორიზაციის საფასურში ცვლილება.

- ***პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის დუალური პროგრამების განხორციელების ხელშეწყობა***

2019 წელს ჩატარდა დუალური პროგრამების განხორციელების პროცესის მონიტორინგი და ანალიზი. მონიტორინგის შედეგები წარდგენილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში და გამოიყენება დუალური სწავლების რეგულაციის შემუშავების პროცესში. კერძო სექტორის რეესტრის კონცეფცია განხილულია სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან.

სტრატეგიული მიზანი 4. მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის პრინციპებზე დაფუძნებული კვალიფიკაციების სისტემის განვითარების უზრუნველყოფა, არსებული საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით განათლების აღიარების სერვისების ოპტიმიზაცია და სრულყოფა

- ***განათლების აღიარებისა და საგანმანათლებლო დოკუმენტის ნამდვილობის*** **დადასტურების სერვისის სრულყოფა**

შემუშავებულია უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების დაჩქარებული მომსახურების მექანიზმი. მომზადდა საკანონმდებლო ცვლილების პაკეტი. კერძოდ, უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების დაჩქარებული მომსახურების მექანიზმის გათვალისწინება მოხდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის №98/ნ ბრძანებით დამტკიცებულ წესში „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესისა და საფასურების დამტკიცების შესახებ“.

შეცვლილია საქართველოში გაცემული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ნამდვილობის დადასტურების წესი. სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ნამდვილობის დადასტურების წესის ცვლილება გათვალისწინებულია „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესისა და საფასურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და

მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის №98/ნ ბრძანებით. კერძოდ, ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის – ატესტატის ნამდვილობის დადასტურებისას ცენტრი მონაცემებს ამოწმებს სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ ფორმირებულ ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მიღების უფლების მქონე პირების მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში. აღნიშნულისგან განსხვავებულ საფუძველზე გაცემული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის - ატესტატის ნამდვილობის დადასტურებისას ცენტრი იკვლევს ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის განმახორციელებელი დაწესებულების სტატუსისა და საგანმანათლებლო დოკუმენტის მფლობელის სწავლის პერიოდის შესახებ ინფორმაციას (სახელმწიფოს მხრიდან აღიარებული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების ფაქტს) მხოლოდ სწავლის ბოლო წლის მდგომარეობით.

უცხოეთში დისტანციური ფორმით მიღებული განათლების აღიარების მექანიზმების გაუმჯობესების მიზნით, კერძოდ, დისტანციური ფორმით მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტების გაცემის უზრუნველსაყოფად მომზადდა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარედგინა წინადადებები საკანონმდებლო ცვლილების შესახებ.

შემუშავებულია ლტოლვილების მიერ მიღებული განათლების აღიარების მექანიზმი. „ლტოლვილების“ მიერ მიღებული განათლების აღიარების მექანიზმების გათვალისწინება მოხდა 98/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესის“ 5[1] მუხლით. საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირის მიერ მიღებული განათლების აღიარების მიხედვით ცენტრი ახდენს საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირების მიერ უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებას, რაც გულისხმობს ამ პირების მიერ განათლების მიღების ფაქტის დადგენას და უცხოეთში მიღებული კვალიფიკაციის საქართველოში არსებულ კვალიფიკაციებთან თავსებადობის დადგენას. აღნიშნულ მომსახურებაზე საფასურს არეგულირებს 98/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურების, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებისა და ლიცენზირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული პირების მიერ მიღებული უმაღლესი განათლების სახელმწიფო აღიარების საფასურების წესი“.

- ***განახლებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დანერგვის ხელშეწყობა***

2019 წელს დამტკიცდა განახლებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო და სწავლის სფეროების კლასიფიკატორი, რომლებიც შესაბამისობაშია ევროპის კვალიფიკაციების ჩარჩოსა და საერთაშორისო კლასიფიკატორთან. მომზადდა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მართვის, განვითარებისა და მონიტორინგის, კვალიფიკაციების ელექტრონული რეესტრის შექმნისა და ადმინისტრირების წესის პროექტი და დასამტკიცებლად წარედგინა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს. დაინტერესებულ მხარეებთან, განახლებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დანერგვის მიზნით, ჩატარდა სამუშაო შეხვედრები.

- ***კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოს მართვა, განვითარება, მონიტორინგი***

საანგარიშო პერიოდში Twinning-ის პროექტის - „შესაძლებლობების გაძლიერება ხარისხის უზრუნველყოფისა და კვალიფიკაციების მართვის მიმართულებით“ - ფარგლებში შემუშავდა განახლებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დანერგვის (2019-2021) გეგმა, რომლის შესაბამისად 2020-21 წლებში დაგეგმილია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს თვით-სერტიფიცირებისათვის მოსამზადებელი აქტივობების განხორციელება.

საგულისხმოა, რომ 2019 წელს განახლდა სამართლის დარგობრივი მახასიათებელი და შემუშავდა პროექტი. შემუშავებულია ტურიზმის და არქიტექტურის დარგობრივი მახასიათებლების პროექტები. დამტკიცდა ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის, საზოგადოებირივი ჯანდაცვისა და სატყეო საქმის საგანმანათლებლო პროგრამების დარგობრივი მახასიათებლები. დამტკიცდა უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების, განახლებისა და დამტკიცების, დარგობრივი საბჭოების, დარგობრივი სამუშაო ჯგუფების შექმნისა და საქმიანობის წესი 3 დანართით. შემუშავდა უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის მეთოდოლოგია.

- ***არაფორმალური განათლების აღიარების მექანიზმების შემუშავება/დამტკიცების ხელშეწყობა***

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიერ დამტკიცდა არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესი. არაფორმალური განათლების აღიარების წესი და პროცედურები სრულად განახლებულია და შეესაბამება საერთაშორისო პრაქტიკას. დამტკიცებულია არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვების წესი, პირობები და არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვების საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილება. აგრეთვე, სსიპ - განათლების ხარისხის

განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ დამტკიცებულია არაფორმალური განათლების აღიარების კონსულტანტთა შერჩევის, სერტიფიცირებისა და სტატუსის შეწყვეტის წესი და არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვების განაცხადის ფორმა. მიმდინარე პერიოდში დამტკიცებულია ყველა სამართლებრივი აქტი, რაც ხელს უწყობს არაფორმალური განათლების აღიარების სანდო, გამჭვირვალე მექანიზმების დანერგვასა და უშუალოდ აღიარების განახლებული პროცესის დაწყებას.

- ***შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი მოკლევადიანი პროფესიული განათლების მომზადება/გადამზადების პროგრამების განვითარების ხელშეწყობა***

,,პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების ხარისხის უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ განხორციელება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში დაიწყო 2019 წლის აპრილში. მიმდინარე საანგარიშო პერიოდში, პროფესიული მომზადების/გადამზადების განხორციელების უფლების დადასტურების მიზნით, ცენტრს მომართა 17-მა პროფესიულმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ (სულ წარმოდგენილია 91 პროგრამა, აქედან 69 პროფესიული მომზადების, 22 პროფესიული გადამზადების). განხორციელების უფლება დადასტურებულია 82 პროგრამაზე.

ამჟამად, პროფესიული მომზადების/გადამზადების განხორციელების უფლების დადასტურების მიზნით, შემოსული განაცხადების მიხედვით დარეგისტრირებულ მსმენელთა რაოდენობა არის 700.

2019 წელს მომზადება/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების მიზნით, ელექტრონული სისტემის საშუალებით რეგისტრაცია გაიარა 14-მა იურიდიულმა პირმა (38 მომზადება/გადამზადების პროგრამა), საიდანაც 8 იურიდიულ პირს (27 პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამა) პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს მიერ მიეცა პროგრამების განხორციელების უფლება.

პროფესიული მომზადება-გადამზადების სისტემის დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, 2019 წლის ივლისში სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრმა გაეროს განვითარების პროგრამის მხადაჭერით პროექტის განხორციელება დაიწყო. პროექტის ფარგლებში პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის საკითხზე ჩატარდა ტრენინგები და საინფორმაციო შეხვედრები, რომელსაც დაესწრო 60 მეტი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და კერძო სექტორის წარმომადგენელი; ტრენინგები ჩატარდა პროფესიული

მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებისთვის, ექსპერტთა კორპუსისა და ცენტრის თანამშრომლებისთვის. პროექტის ფარგლებში შემუშავდა პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების მონიტორინგის მეთოდოლოგია; პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის პროვაიდერ ორგანიზაციებში ჩატარდა რვა მხარდაჭერის ვიზიტი.

- **კვალიფიკაციების ელექტრონული რეესტრის შექმნა განვითარება და *მართვა***

Twinning-ის პროექტის - „შესაძლებლობების გაძლიერება ხარისხის უზრუნველყოფისა და კვალიფიკაციების მართვის მიმართულებით“ - ფარგლებში საერთაშორისო ექსპერტების მიერ შემუშავდა კვალიფიკაციების ელექტრონული რეესტრის კონცეფცია. დოკუმენტის საფუძველზე 2020 წელს იგეგმება კვალიფიკაციების ელექტრონული რეესტრის ტექნიკურ მახასიათებლებზე მუშაობა და სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან თანამშრომლობით კვალიფიკაციების ელექტრონული პორტალის შექმნაზე მუშაობა.

- ***პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის და მოდულის/მოდულების შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის განახლება-დანერგვა***

2019 წელს „პროფესიული განათლების შესახებ“ კანონის შესაბამისად შემუშავდა პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის, მოდულის/მოდულების შემუშავების, განვითარებისა და დამტკიცების წესი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების 70-მდე სტანდარტში, ,,პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ახალი რედაქციით დამტკიცების საფუძველზე, განხორციელდა 90-მდე მისანიჭებელი კვალიფიკაციის ცვლილება. მომზადდა პროფესიული დარგობრივი საბჭოების შექმნისა და საქმიანობის წესი.

ასევე, ჩამოყალიბდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტებისა და მოდულების ასახვისთვის შესაბამისი ელექტრონული ბაზა e-vet.emis.ge

- ***პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტებისა და მათი დანართის ფორმების განახლება***

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში შემუშავდა პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის - დიპლომის დანართის ფორმა, რომელიც შესაბამისია ევროკავშირისა და ევროსაბჭოს დირექტივებთან. ამასთან, შემუშავდა დანართის შევსების გზამკვლევი.

სტრატეგიული მიზანი 5. საქართველოს ცნობადობის ამაღლება ევროპის განათლების სივრცეში და განათლების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა

- ***ENQA-ს სრული წევრის სტატუსის მოპოვებასთან დაკავშირებული განაცხადის გაკეთებისათვის შესაბამისი პროცედურების განხორციელება***

2019 წლის 25 აპრილს, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის (ENQA) საბჭოს გადაწყვეტილებით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს მიენიჭა ENQA-ს სრული წევრის სტატუსი ხუთი წლის ვადით. საბჭომ დაასკვნა, რომ ცენტრი, მისი საქმიანობა და საქართველოში არსებული უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებსა და სახელმძღვანელო პრინციპებთან.

2019 წლის 27 ივნისს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი დარეგისტრირდა უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების დამოუკიდებელი სააგენტოების ევროპულ რეესტრში (EQAR). რეგისტრაციის შემდგომ ცენტრის მიერ განხორციელებული შეფასებების ანგარიშების გამოქვეყნება დაიწყო EQAR-ის მიერ წარმოებულ შესაბამის მონაცემთა ბაზაში (DEQAR), რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ევროპის მასშტაბით საქართველოში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რეპუტაციის და ცნობადობის ამაღლებას.

- ***უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების გარე შეფასებისთვის ავტორიზაცია-აკრედიტაციის პროცესების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა***

ევროკავშირის პროექტის - Twinning ფარგლებში ცენტრი აქტიურად თანამშრომლობს ესტონეთის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოსთან, რომელიც არის ENQA-ს სრული წევრი.

ავტორიზაციის საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის პროცესის განხორციელებაში 2019 წლისთვის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ყველა პროცესში თავმჯდომარის სტატუსით (ზოგიერთ შემთხვევაში თანათავმჯდომარის სტატუსითაც) ჩართული იყო ერთი ან ორი საერთაშორისო ექსპერტი.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროგრამის ,,Study in Georgia" ფარგლებში 2019 წელს სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი სადოქტორო, რეგულირებადი (მედიცინა, საზღვაო მეცნიერებები, ვეტერინარია, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული და 60-კრედიტიანი პროგრამები) და ინგლისურენოვანი პროგრამების აკრედიტაციის პროცესის განხორციელდა საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით. სულ საანგარიშო პერიოდში შეფასდა 38 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა.

- ***სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციასთან (WFME) თანამშრომლობის გაღრმავება, სამედიცინო პროგრამების აკრედიტაცია და სამედიცინო პროგრამების განმახორციელებელი უმაღლესი სასწავლებლების საერთაშორისო ავტორიზაცია***

სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციასთან (WFME) თანამშრომლობის გაღრმავების მიმართულებით დაგეგმილი იყო სამედიცინო პროგრამებისა აკრედიტაცია და სამედიცინო პროგრამების განმახორციელებელი უმაღლესი სასწავლებლების საერთაშორისო ავტორიზაცია. აღნიშნულ საკითხზე მუშაობა გაგრძელდება 2020 წელს.

- ***ბოლონიის პროცესის სამუშაო ჯგუფის (BFUG) საქმიანობაში მონაწილეობა***

2019 წელს ცენტრი აქტიურად თანამშრომლობდა ბოლონიის პროცესის სამუშაო ჯგუფთან. საქართველო, ბელგიასა და კვიპროსთან ერთად, წარმოადგენდა ხარისხის უზრუნველყოფის თემატური საექსპერტო ჯგუფის (C ჯგუფი) თანათავმჯდომარე ქვეყანას. ცენტრი აქტიურად მონაწილეობდა კვალიფიკაცის ჩარჩოს, ECTS კრედიტის (A ჯგუფი) და ლისაბონის აღიარების კონვენციის (B ჯგუფი) თემატურ ექსპერტთა ჯგუფის მუშაობის პროცესში. ხარისხის უზრუნველყოფის თემატური საექსპერტო ჯგუფის პირველი შეხვედრა ჩატარდა 2018 წლის 3-4 დეკემბერს თბილისში, რომელზეც შემუშავებულ იქნა ერთიანი

სამუშაო გეგმა და სამუშაო გეგმები თითოეული წევრი ქვეყნისათვის. 2019 წლის განმავლობაში C თემატურ ექსპერტთა ჯგუფში ცენტრის აქტივობები იყო შემდეგი:

- მონაწილეობა C ჯგუფის მეორე შეხვედრაში, რომელიც ჩატარდა 2019 წლის 27-28 მაისს ლიმასოლში (კვიპროსი). შეხვედრაზე განხილულ იქნა ჯგუფში არსებული ვითარება, განხორციელდა სტაფის მობილობის პროექტის პრეზენტაცია, იმპლემენტაციის/მონიტორინგის 2020 წლის ანგარიში. ბელგიის თანათავმჯდომარემ მაგალიშ ოენენმა წარმოადგინა ჯგუფის სამოქმედო გეგმა, მიმოიხილა სხვადასხვა ქვეყნის აქტივობა ჯგუფის საქმიანობაში. გაიმართა მრგვალი მაგიდები მცირე პროექტებზე/თანამშრომლობაზე ქვეყნებს შორის, რის შემდეგაც შეჯამდა შედეგები. დასასრულს კი გაიმართა მსჯელობა ბოლონიის პროცესის ფარგლებში უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მომავალზე. C ჯგუფის მესამე შეხვედრა დაიგეგმა 2020 წლის 16-17 იანვარს ქალაქ გენტში (ბელგია).
- ორგანიზება გაუკეთდა ბოლონიის იმპლემენტაციის კოორდინაციის ჯგუფის (BICG) ხარისხის უზრუნველყოფის თემატური ჯგუფის პროექტის - პერსონალის მობილობა ფარგლებში 8-10 სექტემბერს საქართველოში (ლოპოტას ტბაზე) პირველ სამუშაო შეხვედრას, რომელშიც ცენტრის წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს BICG ხარისხის უზრუნველყოფის C თემატური ჯგუფის თანათავმჯდომარეებმა - ქალბატონმა მაგალიშ ოენენმა (ბელგია) და ბატონმა ანდრეას პოპოულასმა (კვიპროსი), ასევე, ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ასოციაციის (ENQA) დირექტორმა ქალბატონმა მარია კელომ, ევროპის ხარისხის უზრუნველყოფის რეესტრის (EQAR) სამდივნოს წარმომადგენელმა ქალბატონმა მელინდას ზაბომ, ბელგიის განათლების სამინისტროს წარმომადგენელმა ქალბატონმა დორა სკოტმა. პროექტთან დაკავშირებულ საკითხებზე მსჯელობასთან ერთად, შეხვედრაზე ხელი მოეწერა საგრანტო პროექტის ფარგლებში სსიპ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნული ცენტრისა და ბელგიის განათლების სამინისტროს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას.
- ბოლონიის იმპლემენტაციის კოორდინაციის ჯგუფის (BICG) ხარისხის უზრუნველყოფის თემატური ქვეჯგუფის პროექტების - პროექტის ორგანიზაცია და პერსონალის მობილობა, ფარგლებში მომზადდა საჭირო დოკუმენტაცია პროექტის მოთხოვნების შესაბამისად.
- პერსონალის მობილობის პროექტის ფარგლებში ცენტრიდან გერმანიასა და პორტუგალიაში გაგზავნილ იქნა ორი თანამშრომელი. საპასუხოდ, ცენტრს ECTS-ზე მისი გამოცდილების შესასწავლად სტუმრობდა სერბეთის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს თანამშრომელი.

- ***პროექტი: ხარისხის უზრუნველყოფის და კვალიფიკაციების მართვის შესაძლებლობების გაძლიერება (Twinning)***

პროექტი ხორციელდება გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურთან (DAAD) და ესტონეთის უმაღლესი და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოსთან (EKKA) თანამშრომლობით. პროექტის მიზანია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და მისი პარტნიორების მხარდაჭერა განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის რეფორმისა და ეროვნული კვალიფიკაციების ახალი ჩარჩოს აღსრულებისა და მონიტორინგის საკითხებში ცენტრის ინსტიტუციური შესაძლებლობების გაუმჯობესების, ეფექტიანი ინსტრუმენტებისა და პროცედურების, თანამონაწილეობითი მართვის, დაინტერესებული მხარეებისა და საზოგადოებისათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების მეშვეობით.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში 2019 წელს აქტივობები პროექტის სამივე კომპონენტის მიხედვით განხორციელდა. პროექტის პირველი კომპონენტის ფარგლებში ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მეთოდოლოგიისა და პროცედურების საკითხებზე ესტონელმა და გერმანელმა ექპერტებმა გამოცდილება გაუზიარეს ცენტრის თანამშრომლებს, ექსპერტებს, განათლების სფეროსა და საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებს. საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან სამომავლო შედარების მიზნით, შემუშავდა ეროვნული კვალიფიკაციების ახალი ჩარჩოს დანერგვის სამოქმედო გეგმა, კვალიფიკაციების ელექტრონული რეესტრიის კონცეფცია და ტექნიკური მახასიათებლები. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმიანობის შედეგების მართვის, მონიტორინგისა და გავრცელების მოდელის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, საერთაშორისო ექსპერტების მიერ მოხდა ცენტრის ორგანიზაციული მოწყობისა და შესაძლებლობების გადახედვა 2020 წლის სტრატეგიული ამოცანებისა და ეროვნული კვალიფიკაციების განახლებული ჩარჩოს გათვალისწინებით. შემუშავდა ცენტრის ახალი სტრატეგიისა და მონიტორინგის დაგეგმვის პროცესის აღწერა, ახალი სტრატეგიის სამუშაო დოკუმენტი. ცენტრში კომუნიკაციის მიმართულებით არსებული პრაქტიკის გაძლიერების მიზნით, შემუშავდა ცენტრის ახალი ვებგვერდის კონცეფცია და რეკომენდაციები ცენტრის პიარგეგმასთან დაკავშირებით. აღნიშნული მიმართულებით მუშაობის გაგრძელება დაგეგმილია 2020 წელს.

საკონტაქტო ინფორმაცია

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
საქართველო, თბილისი 0193, მ. ალექსიძის ქ. 1
ტელ.: (+995 32) 2 200 200
E-mail info@eqe.ge
www.eqe.ge